ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N10

2024 წლის 31 იანვარი
ქ. ამბროლაური

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის“ დირექტორის 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N01 დადგენილებით დამტკიცებული „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 143-ე მუხლის შესაბამისად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის“ დირექტორის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად (ანგარიში თან ერთვის).
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13).
3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ასლან საგანელიძე

ანგარიში

ა(ა)ი.პ. ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის

მიერ გაწეული 2023 წლის საქმიანობის შესახებ.

2023 წლის პირველ ნახევარში სწავლა დავიწყეთ წესდებით გათვალისწინებული სამუშაო გეგმის შესაბამისად.

გერმანული ენის შემსწავლელმა წრემ, მუშაობა განაახლა მიმდინარე წლის თებერვლის თვიდან. წრის წევრები სხვადასხვა სკოლებისა და კლასების მოსწავლეები არიან, მაგრამ მათ აერთიანეთ გერმანული ენის შესწავლის ინტერესი. ენის შესწავლისას პედაგოგი ითვალისწინებს უცხოური ენის სტანდარტებს, სწავლის მიმართულებაებს და მათ შორის: მოსმენა, ლაპარალი, კითხვა,წერა, სწავლის სწავლა, კულტურათა დიალოგი. განსაკუთრებული ყურადღება გადადის პირველ ოთხ მიმართულებაზე, რომელიც უცხოურ ენაზე სამეტყველო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას ემსახურება.მეცადინეობა ტარდება კვირაში სამჯერ და გრძელდება 40-45 წუთის განმავლობაში. ამას გარდა მეცადინეობაში ჩართულია სხვა დამატებითი, საინტერესო მასალა გერმანელი ხალხის ისტორიის, ტრადიციების, კულტურისა და თანამედროვე ცხოვრების შესახებ.

ანალოგიური მიდგომებით მუშაობს ინგლისური ენის შემსწავლელი წრეც, ბავშვების ლოკაციური განლაგება სხვადასხვა სკოლებსა და კლასებს წარმოადგენს, ამ თვალსაზრისით, თითქმის ყველა წრის მუშაობა მსგავსია.

ასევე შესაძლებლობის ფარგლებში აქტიური იყო რუსული ენის შემსწავლელი წრეც. თებერვლის თვიდან განახლდა მუშაობა მათემატიკის შემსწავლელ წრეში, მოსწავლეებს მეცადინეობა უტარდებათ კვირაში ორჯერ, ბავშვები დაყოფილი არიან ჯგუფებად, თითოეული ჯგუფის მუშაობა მიმდინარეობს 60 წუთის ფარგლებში.

მიმდინარე წლის თებერვლის თვეში განაახლა მუშაობა „ზოგადი უნარების" შემსწავლელი წრის ჯგუფმა, სადაც ასევე გაერთიანებული არიან სხვადასხვა ასაკისა და სკოლის მოსწავლეები. მეცადინეობა ტარდება კვირაში ორჯერ, ბავშვები დაყოფილი არიან ჯგუფებად ასაკის და უნარების მიხედვით. „ ზოგადი უნარების" წრე მრავალნაირი ტიპის ამოცანებისა და სავარჯიშოების გამოყენებით მოსწავლეებს უნვითარებს ყურადღების, ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, სინთეზისა და ინფორმაციის აღქმის და გადამუშავების უნარს.

თებერვლის თვიდან შეუდგა მუშაობას „გახანგრძლივებული" წრის ორი ჯგუფი, რომელიც მუშაობდა შესაბამისი სასწავლო გეგმის მიხედვით.

სასწავლო ჯგუფები მუშაობას განაგრძობდა 2023 წლის 15 ივნისამდე. შემდეგ დაიწყო საზაფხულო არდადეგები.

წრეებმა მუშაობა განაახლეს 2023 წლის 01 ოქტომბრიდან, სადაც აქტიურად ჩაერთნენ ამბროლაურის საჯარო სკოლების მოსწავლეები.

სასწავლო წრეებში დეკემბრის მონაცემებით მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 93 ს.

ამა წლის 01 მარტს ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ლიტერატურული კონკურსი „მოაზროვნე" (პროექტის ავტორი ფიქრია ცხვედიანი) კონკურსი გათვლილია მაღალ საზროვნო უნარებზე. მისი მიზანია ქართველ და უცხოელ კლასიკოსთა პოპულარიზაცია. საზროვნო მოქმედებათა (ანალიზი, შედარება, განზოგადება) განვითარება ენობრივ (ტექსტობრივ) საფუძველზე და ტექსტებთან შემოქმედებითი დამოკიდებულების გამომუშავება.

მარტის თვეში მიმდინარეობდა მუშაობა და შერჩეულ იქნა ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „მწიგნობარი -2023"-ს ლიტერატურა ნომინაციების მიხედვით. „პროექტი დემოკრატია იწყება სკოლიდან"-ს ფარგლებში 30 მარტს ჩატარდა ინტელექტუალური თამაში - "რა? სად? როდის?" , დონისძიების ორგანიზებაში მონაწილეობა მიიღო ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრმა.

2023 წლის აპრილის თვეში ჩატარდა ლიტერატურული კონკურსის - „მოაზროვნე" გამარჯვებულთა დაჯილდოება.

წლის მოაზროვნეები გახდნენ და ფულადი ჯილდო გადაეცათ:

I ადგილი - მარიამ თომაძე

II ადგილი - ელენე გველეთიანი

II ადგილი - ბაქარ ჭელიძე

III ადგილი - ნინი მაისაშვილი

საინტერესო ნამუშევრებისთვის სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ კონკურსის მონაწილეებს: ანანო ბათხაძე, ქრისტინა დარახველიძე, ლევან რატიანი, თამარ სურგულაძე, ნინო მესხაძე, თამარ პაპუაშვილი, თათია ნატმელაძე, კესო შარაბიძე, ანა ონიანი, საბა დუშუაშვილი და ანა კობახიძე.

ამა წლის აპრილს თვეში ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით , მსოფლიო მემკვიდრეობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩაჩარდა დონისძიება, რომლის მთავარ თემას წარმოადგენდა „დიდა ენა" - „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა" (UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო ნუსხაში ნომინირებული ძეგლი).

2023 წლის 8 მაისს ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრმა, ამბროლაურის მთავარ ბიბლიოთეკას და ზურაბ ჯაფარიძის სახელობის, საბავშვო ბიბლიოთეკას, პროექტ „მწიგნობარი 2023``-სათვის საჭირო ლიტერატურა საჩუქრად გადასცა, წიგნები უსასყიდლოდ გადმოგვცა, საქველმოქმედო ორგანიზაციამ „მთიელი წიგნები".

მაისის თვეში ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსის „მწიგნობარი 2023'' დაკავშირებით, განათლების რესურსცენტრის უფროსთან,ბატონ კახაბერ რეხვიაშვილთან ერთად, საინფორმაციო მეხვედრები გაიმართა, ჭრებალოს,ნიკორწმინდის, ბუგეულის და სადმელის საჯაროო სკოლებში.

23-28 ივლისს მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის შემეცნებითი ჯგუფის წევრები, პროექტ „ძველი დიდების ნაკვალევზე" ფარგლებში იმყოფებოდნენ თურქეთში., ქალაქ სტამბულში, დაათვალიერეს:

ქალაქი სტამბოლი და მისი ისტორიული უბნები. ბოსფორის სრუტე. ტაქსიმის მოედანი. გულჰანეს ბაღი. ისტიკლალის ქუჩა. გალათას კოშკი და ხიდი, აია-სოფიასა და წმ. ირენეს ტაძრები, სულთან აჰმედის მეჩეთი, მუზეუმები: თოფქაფის სასახლე. თურქული და ისლამური ხელოვნების მუზეუმი, დოლმაბაჰჩე. ბაზილიკა ცისტერნა,

საქართველოს ისტორიული მხარეები: ტაო-კლარჯეთი და შავშეთი.

3 აგვისტოს კოლეჯ „ ერქვანში" გაიმართა პროექტის „ ძველი დიდების ნაკვალევზე" პრეზენტაცია.

22- 24 სექტემბრს ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის შემეცნებითი ჯგუფის წევრებმა, პროექტ „რა საშშობლო გვქონია" ფარგლებში იმოგზაურეს კახეთის მხარეში და მოინახულეს შემდეგი ადგილები: სიღნაღი, თელავი და წინანდალი.

თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი,

ალ. ჭავჭავაძის სახლ- მუზეუმი წინანდალში.

ბოდბის მონასტერი, ძველი და ახალი შუამთა. იყალთო. ალავერდი, გრემი. ნეკრესი და დავით გარეჯი

შემეცნებითი ჯგუფის წევრებმა წინასწარ მოიძიეს ინფორმაციები და სხვადასხვა ადგილზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან, გამართეს პრეზენტაციები.

ამა წლის 27,28,29 ოქტომბერს ჩატარდა ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „მწიგნობარი-2023", რომელმაც წარმატებით ჩაიარა. წინასწარ არჩეული ჟიურის წევრების მიერ გამოვლინდნენ გამარჯვებულები ბავშვები შემდეგ ნომინაციებში:

ისტორიული რომანი

I ადგილი - შოთა ჭელიძე

II ადგილი - მარიამ ვახტანგაძე

ლიტერატურული შედევრები

I ადგილი - ნინო ლაიშვილი

II ადგილი - მარიამ ვახტანგაძე

XIX- XX სს-ის მწერლობა

I ადგილი - თამარ სურგულაძე

II ადგილი - მარიამ ვახტანგაძე

თანამედროვე ლიტერატურა

I ადგილი - მარიამ გორდეზიანი

II ადგილი - ხატია ფრუიძე

პუბლიცისტიკა და ესე

I ადგილი - თამარ მუსერიძე

II ადგილი - ელენე გველეთიანი

საბავშვო მწერლობა

I ადგილი - ბარბარე ქემოკლიძე

II ადგილი - ქრისტინე ჯანელიძე

ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანები
I ადგილი -კესო მეტონიძე
II ადგილი - თამარ ჭელიძე
დრამატურგია
I ადგილი -მარიამ მახალდიანი
II ადგილი -ნოდარ ბუაძე
..პოეზია უპირველეს ყოვლისა"
I ადგილი -ნინო ლაიშვილი
II ადგილი -ქეთევან კაციტაძე
თავისუფალი თემა
I ადგილი - ელენე გველეთიანი
II ადგილი-ლევან რატიანი
..ვეფხისტყაოსანი"
I ადგილი -მარიამ კერესელიძე
II ადგილი - ლუკა ქვათაძე
ჟიურის სიმპათია - ლიზი ალავიძე

რომელთაც გადაეცათ ფულადი ჯილდოები, ასევე გამარჯვებული პირველი ადგილის მფლობელები მიიღებენ ერთწლიან ყოველთვიურ სტიპენდიას სხვადასხვა ბიზნეს კომპანიების წარმომადგენლებისგან.

მეორე ადგილზე გასული კონკურსანტების, ერთჯერადი ფულადი ჯილდოების 200(ორასი) ლარი,უზრუნველყო ფონდმა „არველაძე"-მ.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო177 მონაწილემ. „მთიელი წიგნების" მიერ მონაწილეებში საჩუქრად დარიგდა 300-ზე მეტი წიგნი.

პროცესებში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა და მისი სპეციალისტები, ასევე სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები.

წაკითხული იქნა 37 ავტორის 59 ნაწარმოები.

2024 წელს ,ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „ მწიგნობარი" ხდება 20 წლის. ვიმედოვნებ ეს თარიღი გამორჩეულად აღინიშნება.

ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდული ცენტრის

დირექტორი: /გ. გორდეზიანი/

APYC

ამბროლაურის მოსწავლე- ახალგაზრდობის ცენტრის 2023 წლის 12თვის ფინანსური ანგარიში .

სუბსიდია სულ 223474,21ლარი.

დასახელება	თვეების რაოდენობა	სარჯი/ლარი/
ხელფასი/შტატგარეშე	12	180733
ხელფასი/მივლინება		
სილქნეტი/ჯეოსელი	12	
ელ.ენერგია	12	1162.25
წყალი	12	664.75
სამშენ მერქანი	12	293.65
საკანცელარიო ხარჯი	12	180
კულტურულ შემეცნებითი ღონისძიებები	12	385,7
სანიტარული საქონლის შეძენის ხარჯი	12	39417.36
		637,5

საკუთარი სახსრები სულ 3753

სამეურნეო საქონლისა და ოფისისთვის საჭირო საქონლის შეძენის ხარჯი	12	1306,5
საკანცელარიო საქონლის შეძენის ხარჯი	12	246,5
კულტურულ შემეცნებითი ღონისძიებები	12	2200

მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენრის დირექტორი: /გ.გორდეზიანი/

ბუღალტერი: /თ .ენუქიძე/